საქართველოს კანონი

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 28.10.2013, სარეგისტრაციო კოდი: 140030000.05.001.017194) მე-17 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიძლება განისაზღვროს იმ სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ობიექტების ნუსხა, რომელთა დაცვა შესაძლებელია განახორციელოს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყველაშვილი**

თბილისი,

17 მარტი 2026 წ.

N1403-Vმს-XIმპ